ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:ბ48.482228525
თარიღი:12/10/2022

,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის №51 განკარგულებით გამოყოფილი თანხის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასახვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“პუნქტის, ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის №51 განკარგულებისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №28 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 14 იანვრის №51 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული დაფინანსებით გაიზარდოს:

   · წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 153 563 ლარით, კერძოდ პრიორიტეტი განათლება პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02), მუხლი საქონელი და მომსახურება - ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი.
   · წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები - ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 153 563 ლარით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი გასაზღვრულ იქნას 37 493,1 ათ. ლარით.

3. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს განწერით დამტკიცებული ასიგნებების დაზუსტების მიზნით განახორციელოს აღნიშნული ცვლილება ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-budget) და უზრუნველყოს ბიუჯეტში გათვალისწინება უახლოესი ცვლილებების დროს (ფ. გაგოშიძე).

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი